



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

### ო კ მ ი N7

ქალაქი ბათუმი

2023 წლის 21 ივლისი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

#### ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- |                   |   |  |
|-------------------|---|--|
| ირაკლი თავდგირიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;  |
| ნატალია ზოიძე     | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| ზურაბ ნაკაიძე     | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| მინდია გოგუაძე    | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                        |
| დავით მახარაძე    | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ლევან ცხოიძე      | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე      | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| ნერიმან ცინცაძე   | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| თენგიზ აფხაზავა   | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;                     |
| ასლან ბალაძე      | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |
| როსტომ ხალვაში    | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |

ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან დოლიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნატო ნაცარაშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ზაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია შიშიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი ზოიძე	- საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

- კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი;
- ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი;

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - დავით დავითაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კობინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - აკაკი ბერიძე;
- ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ დირექტორი - ჯაბა ბერიძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ დირექტორი - დავით დიასამიძე;
- ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ დირექტორი - თამაზ სალუქვაძე;
- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამსახურის უფროსი - არჩილ კონცელიძე;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

-საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

-საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვლისწინებული 7 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ „ქალაქ ბათუმში, ადლიას ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.21.057) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის განაშენი-ანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გვიან შემოსულია საკრებულოში, კომისიის სხდომების შემდეგ დაემატა, რომელიც დღის წესრიგიდან ამოსაღებია.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ განმარტა, რომ საკრებულოს შესაბამის კომისიის სხდომებზე განხილული იქნა წარმოდგენილი საკითხი და ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით დაემატა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განხილული იქნა შესაბამის საკრებულოს კომისიის სხდომებზე და ასევე ბიუროს სხდომაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარაძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №გ-15.15211513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმში, ადლიას ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.21.057) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის – ლაშა კილაბერიას ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დავით მახარაძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. N5<sup>ა</sup> -ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თეიმურაზ (ტუხა) ტულუშის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხომიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 33

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 14 (ნ. დუმბაძე,

ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე,

ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე,

ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე, ნ.ნაცარაშვილი,

რ. ხარაზი, ვ. დარჩია, ალ. ვარშალომიძე)

საკრებულოს წევრმა, როსტომ ხალვაშმა გააკეთა პოზიტიური განცხადება პრემიერ-მინისტრის მიერ არასრულწლოვანთა ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით. ეპოქალური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც მძიმე ტვირთი იყო, ეს არის სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი.

საკრებულოს წევრი ლევან ცხიძე ქალაქში მიმდინარე კულტურულ ღონისძიებებს შეეხო და აღნიშნა, რომ უამრავი ღონისძიებაა, რომელიც ტარდება და შემდგომშიც ჩატარდება, ამისთვის მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საკრებულომ მასზე დაკისრებული ფუნქციები შეასრულოს. გამოქვეყნდა კვლევა და ამიტომ უნდა შეეძლოს საკრებულოს იმის გაკეთება, რომ მუშაობის ხარისხი გაცილებით მაღალ შეფასებას იმსახურებდეს, ვიდრე არსებული მდგომარეობით არის. ამისთვის საჭიროა საკრებულომ შეასრულოს მაკონტროლებლის ფუნქცია. საკრებულოს დღევანდელი მოწვევა უნდა იყოს სამაგალითო და იმედს იტოვებს, რომ შეძლებენ ყველაფრის გაკეთებას. საკრებულოს წევრის ერთ-ერთი ფუნქციაა მოქალაქეების განცხადებების განხილვა. მან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიმართა, რომ მუნიციპალურ ინსპექციას სამწუხაროდ ბევრი უკანონო მშენებლობა არ დაუფიქსირებია, რაც ქალაქისთვის პრობლემას წარმოადგენს. ამავდროულად საქმეა შერჩევით სამართალთან, იმიტომ რომ არის კონკრეტული შემთხვევა, მუნიციპალური ინსპექცია ზედმეტი მონდომებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო თევზის ბაზართან, სადაც ბიზნესმენმა ყოველგვარი კომერციული ინტერესის გარეშე გააკეთა აფროსნობის კლუბი, ეს იყო ტერიტორია, რომელიც ეკუთვნის ქალაქ ბათუმის ნავსადგურს, მათ შორის იყო ოფიციალური წერილი, რომ აფროსნობის კლუბისთვის ეს ტერიტორია დათმობილი ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლები მივიდნენ და დაარბიეს. აფროსნობის კლუბი ბავშვებისთვის და შშმ პირისთვის შეიქმნა, საკითხს გულისყურით მოეპყარით და მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილება მიიღეთ. აფროსნობის კლუბის - სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს, ეს არის დადებითი აქტივობა, რომელიც კარგ იმიჯს უქმნის ქვეყანას. ასევე საკრებულოში დარეგისტრირებული ჰქონდა ინიციატივა, რომელზედაც უმრავლესობის გარკვეული წევრების მხარდაჭერა აქვთ ამ მიმართულებით, ეს შეეხება სპორტულ ინფრასტრუქტურას ძველ ბათუმში, ჭაჭის მიმდებარე ტერიტორიასთან მინი სტადიონის მოწყობასთან დაკავშირებით. ამავდროულად დღევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისთვის“ ზრდა 100%-იანი სუბსიდიის მქონე პირებისთვის მილიონ ასი ათასით, იქნებ კიდევ ერთხელ განიხილოთ უფასო მგზავრობასთან დაკავშირებით ინიციატივა. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ კარგი იქნება გახდეს ა(ა)იპ ავტოტრანსპორტი, რადგან რეალურად შპს-ედ მისი ყოფნა ლოგიკურ ახსნას არის მოკლებული.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ აღნიშნა, რომ როსტომ ხალვაშმა კარგი ამბავი გააჟღერა, თუმცა იტოვებს იმედს, რომ უცხოეთში დაფინანსება არ იქნება რუსეთის სეგმენტზე გათვლილი. ჩვენდა სამწუხაროდ ქართული ხელისუფლების პირობებში პროვეროპული/პროდასავლური კურსი, რომელზედაც ასე დიდი იმედებით საუბრობდნენ და რომელსაც 2012 წელს ელოდებოდა საქართველოს მოსახლეობა, დღეს სრულიად შეცვლილია არასწორი პრორუსული პროპაგანდით.

საკრებულოს წევრები ცხადია ამის პირდაპირი შემოქმედი არ არიან, მაგრამ ირიბად ამ ყველაფერს ატარებენ, რადგან მას არ სმენია და არ უნახია არც სოციალური ქსელებით, არც ტელევიზიით ამ ყველაფრის დაგმოზა. მაგ. ელგეპედის ქომაგად, ფუნდამენტურ უფლებებზე საუბარი და იმ ფორმით გამოხატულება, რა ფორმითაც ხდება და ნურავინ დაარწმუნებს იმაში, რომ ამას ხელს არ უწყობს ხელისუფლება. იმიტომ, რომ პირდაპირ და ნათლად ჩანს უმცირესობათა უფლებების ყოველდღიური დარღვევები, მას ასევე სრულიად არ სიამოვნებს მამაკაცებს შორის სიყვარული, მაგრამ აძლევს უფლებას, რომ არ იმეგობროს ან არ შეიმჩნიოს ეს ადამიანები.

საკრებულოს წევრი ნინო ცხვარაძე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ისეთი კარგი საქმე, რასაც ბავშვთა ონკოლოგიური დაფინანსება ჰქვია, თქვენ პოლიტიკური ნიშნით ნუ აფასებთ და ნუ დაუდებთ პოლიტიკურ სარჩულს. მკურნალობა ხდება პაციენტის მშობლების გადაწყვეტილებით.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტყარაძემ მისი ძმის მკვლელობის საკითხზე აღნიშნა, რომ მას მოუსწრაფეს სიცოცხლე და დღემდე დაუსჯელი არიან მკვლელები.

საკრებულოს წევრმა, თეონა ბერიძემ აღნიშნა, რომ ბათუმი დღითიდღე ვითარდება, მწვანე ქალაქის კონცეფციის მიხედვით. ქალაქში ელექტროსკუტერებთან დაკავშირებით რეგულაციები არ აქვთ. მან მოიძია რამდენიმე ევროპული მაგალითი. კონკრეტულად გერმანიის ქალაქ როსტოკისა და ვენის მაგალითის მიხედვით აღნიშნა, რომ არ აკისრებენ დამატებით ფინანსურ გადახდას კომპანიები, რომლებიც ელექტროსკუტერებს მართავს ქალაქში, მაინც დგება ნებაყოფლობით შეთანხმება უსასყიდლო ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულია ქალაქის პასუხისმგებლობა და მეორე მხრივ, აღნიშნული კომპანიების პასუხისმგებლობა. ქალაქის მასშტაბით სკუტერების საერთო რაოდენობა არის განსაზღვრული და ფიქრობს რომ ჩვენს ქალაქთან მიმართებაში საინტერესოა. ასევე განსაზღვრულია ე.წ. საპარკინგე ზონები, დასაშვები სიჩქარე, რაც ნიშანდობლივია და ამ ხელშეკრულებებში მისი სუბიექტური გადასახედიდან მნიშვნელოვანი არის ის, რომ კომპანიებს აქვს ვალდებულება. მაგალითად როსტოკის შემთხვევაში მინიმუმ 1/3 ელექტროსკუტერებისა და მათი მომსახურების ზონა იყოს ქალაქის გარეუბნები. არის ქალაქები ევროპაში, სადაც ფინანსური პასუხისმგებლობაა, თუმცა გამოცდილი ქალაქები, სადაც არ იყო მსგავსი ტიპის შეთანხმება, ოფიციალური დადებული პრობლემის წინაშე დადგა. აქედან გამომდინარე დასვა კითხვა, რომ ამ კუთხით იგეგმება თუ არა ქალაქში რეაგირება?

საკრებულოს წევრმა ასლან ბალაძემ ბათუმის დინამოს წინა დღის თამაშთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისთვის უხასიათო იყო წამგებიანი თამაში, თუმცა მიაწოდა სასიამოვნო ინფორმაცია, რომ ევროპის ჩემპიონატი რუმინეთი საქართველო და ამ ჩემპიონატმა დიდი რეზონანსი გამოიწვია ევროპაში, საქართველოში, სადაც მონაწილეობდა 6 ნაკრები, იყო თანამონაწილე, ერთ-ერთი ორგანიზატორი, ესწრებოდა თამაშებს. ქალაქმა დაიმსახურა უფასო მხრიდან მოწონება. ასევე საუბარია საქართველოში მსოფლიო დონის ტურნირის ჩატარებაზე.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა ქალაქ ბათუმის მერს მიმართა, რომ საჯარო ინფორმაციას არ აწვდიან სამსახურები, კერძოდ ნებართვებთან, საჯარო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებთან დაკავშირებით, ასევე ბათუმის მერია ჩართულია უკანონო, კორუფციულ საქმეებში. მერია ვერ მუშაობს ეფექტურად. კანონით მერიამ 10 დღის ვადაში უნდა მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრს რევაზ ხარაზს მიმართა, რომ ყველა მისი განცხადებები იწყება ბრალდებებით და ეს არ არის

სასიამოვნო, როდესაც ქალაქის მოსახლეობა უყურებს საკრებულოს სხდომის ტრანსლაციას და ასევე განცხადებებს სჭირდება ფაქტები, არგუმენტები.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ საერთაშორისო კვლევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2014 წლიდან პირადად მან თანამშრომლობს ორგანიზაციასთან და ხშირ შემთხვევაში 98% კონკრეტულ ინფორმაციას აქვეყნებს, ეს არის დაახლოებით იმ ტიპის ორგანიზაცია, რაზეც ლაპარაკობს რევაზ ხარაზი, ეს კვლევა არ არის. საკრებულო მერიას გვერდში უდგას და მოსახლეობისთვის კარგ საქმეებს აკეთებს.

საკრებულოს წევრმა ნერიმან ცინცაძემ განაცხადა, რომ რაც უფრო მეტი კარგი საქმეები კეთდება, უფრო მეტად აჟიტირებული არის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. პროგრამის თაობაზე აღნიშნა, რომ ხელშეკრულება დადებულია ისეთ ქვეყნებთან, სადაც ონკოლოგია ძალიან განვითარებულია, ეს არის ისრაელი, ესპანეთი და გერმანია. მშობელი, სადაც მოისურვებს შვილის გაყვანას, სახელმწიფო დაფინანსების კუთხით შეუწყობს ხელს.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ მოუწოდა კოლეგებს, რომ საკრებულოს წევრები ხართ და მოსახლეობის არჩეული. რაც შეეხება ონკოლოგიურ დაფინანსებას მიესალმება. მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელი ესწრება საკრებულოს სხდომას და დასვა კითხვა ქალაქის ტერიტორიიდან ტრაილერების გაყვანის თაობაზე. მანქანების გაჩერების საფასური გასაზრდელია, რადგან საფასური 10 ლარი გაჩერებისთვის გადასახადი მცირეა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა სამსახურებთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ბათუმში ფუნქციონირებს 13 აიპი, მან გააგზავნა წერილები ბოლო 5 წლის მანძილზე ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, რომელიც მიაწოდა ყველა ა(ა)იპ-მა უკლებლივ და მადლობა გადაუხადა. თითოეული ჩვენგანის სიტყვა, ოქმების სახით მუდმივად ინახება. ახალგაზრდობის წინაშე უნდა იყვნენ კონსტრუქციულები.

საკრებულოს წევრმა თეკლა კავაზაშვილმა აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე ისაუბრა გაუმართავ ატრაქციონებთან დაკავშირებით, მაგრამ სხდომიდან რამდენიმე დღეში ახალი ტრაგედია დატრიალდა და არასწორი უსაფრთხო წესების დაცვით სიცოცხლე შეეწირა. მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ზომების დაცვა და გამკაცრება.

საკრებულოს წევრმა ალექსანდრე ვარშალომიძემ ისაუბრა ბულვარის ტერიტორიაზე ღამის საათებში უსაფრთხოების გამკაცრებასთან დაკავშირებით, ასევე ქალაქში სერიოზული პარკირების პრობლემა და ამ მხრივ იგეგმება თუ არა რეაგირება. საკრებულოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქე გოჩა გუგუნიავამ აღნიშნა, რომ ავარიულ სახლთან დაკვშირებით აქვს კითხვები, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ სხდომის დასრულების შემდეგ მიეცემათ საშუალება და კითხვებზე პასუხები გაეცემათ.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ ზაფხულის სეზონია, ბევრი ტურისტია. ყველა ქუჩაზე, რესტორანთან მობილიზებულია პოლიციელები. ფატალური შედეგი არ მომხდარა, რაზედაც მადლობა გადაუხადა.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ განაცხადა, რომ საპატიო მიზეზით ტოვებს საკრებულოს მორიგ სხდომას.

საკრებულოს წევრმა ეკატერინე ზარიამ აღნიშნა, რომ 30 მაისს ქალაქის მერი და მთავრობის თავმჯდომარე რუს ოფიცრებთან ერთად ადლეგრძელებდნენ რუს სამხედროებს. გულისტკივილით შეახსენა, რომ ეს ის ხალხია, ვისი ხელებიც სისხლშია გასვრილი, რაზედაც მერმა მიმართა, რომ სიცრუე და ნუ დაიჯერებთ ასეთ ცრუ ინფორმაციას. ის 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეა.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ ჰქონდა კოლეგებთან ერთად დასწრებოდა სითი ინსტიტუტის მიერ გენგემასთან დაკავში-



რებით პრეზენტაციას, ეს ის სითი ინსტიტუტია, რომელიც მერიის დაკვეთით მუშაობენ მნიშვნელოვან დოკუმენტზე. გაიწელა დოკუმენტი დროში და მას რჩება განცდა, რომ ამ დოკუმენტის მიღება დაგეგმილ ვადაში არ ხდება.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში ხდება ძლიერი ნაბიჯების გადადგმა ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით და ამისი დადასტურებაა უვიზო მიმოსვლა, ევროპული პერსპექტივა.

საკრებულოს წევრმა ბაჩი მექვაბიშვილმა ნატალია ზოიძეს მიმართა, რომ საინტერესოა 12 პუნქტიდან რამდენი პუნქტია შესრულებული.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან. პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, კერძოდ ცვლილება შედის ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში ასევე გადასახდელების ცალკეულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 23.200.0 ათასი ლარით, კერძოდ: - ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 20,000.0 ათასი ლარით: მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი იზრდება 20,000.0 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების მიზნით, კერძოდ: სპეციალური ტრანსფერი - 5,700.0 ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი - 14,300.0 ათასი ლარი. - სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 3,200.0 ათასი ლარით: მათ შორის: პროცენტები - 3,200.0 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის მიერ ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული სარგებლის ფაქტიური და საორიენტაციო შესრულების გათვალისწინებით;

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

## აზრი

### გამოთქვებს:

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მერიის სამსახურებს, რადგან ბიუჯეტის გაზრდა 23 მილიონით მნიშვნელოვანია ქალაქისთვის. ხარისხიანად უნდა შესრულდეს სამუშაოები.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ დროებითი ღამის თავშესაფარისთვის, ქირის გადახდისთვის გამოყოფილია 50 ათასი ლარი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ქირის თანხა არის ღამის თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარებისთვის. ამ ეტაპზე სხვა შენობა-ნაგებობის სარგებლობაზეა გამოყოფილი.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ დასვა კითხვა ღამის თავშესაფარის სარემონტო სამუშაოების დასრულების თაობაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ სატენდერო პროცედურები გულისხმობდა წინა წელს დასრულებას, კომპანიამ ვერ უზრუნველყო შეესრულებინა, განხორციელდა შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები, ის იქნა წარდგენილი შავ სიაში და შეუწყდა ხელშეკრულება. ამ ეტაპისთვის დასრულებულია ექსპერტიზა დარჩენილ სამუშაოებზე, რომელიც უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი და მიმდინარე წლის ბოლომდე მოცემულ პერიოდში დასრულდება აღნიშნული სამუშაოები.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტყარაძემ აღნიშნა, რომ ბათუმში, ისრაფილ ჯინჭარაძის ქუჩის სამუშაოები დასრულებულად ითვლება, მაგრამ ამავე ქუჩაზე 65 ნომრიდან 119-მდე, 119-121-მდე, 139-143-მდე და 147-151-მდე არ არის გაკეთებული და ავარიული გზაა. ასევე მოსაწესრიგებელია ქუჩის განათებები და ბარცხანის ხიდის გამო იქმნება საცობები.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ გაამახვილა ყურადღება ბათუმის ავტოტრანსპორტის კონტროლირებზე, რომელიც დასახვეწია, რადგან ავტობუსებს აჩერებენ რამდენიმე წუთს.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ღამის თავშესაფარის რემონტი მნიშვნელოვანია, 2021 წლის აგვისტოში იყო ტენდერი გამოცხადებული და როდის დასრულდება ეს სამუშაოები. ასევე მიესალმება სერვისცენტრების მშენებლობას, თუმცა მოსაწესრიგებელია სამრეწველო და გონიოს ადმინისტრაციული სერვისცენტრის მოწყობა, რადგან არ არის ადაპტირებული. სერიოზული პრობლემაა - ქალაქში ხეების ფესვები ტროტუარებს აზიანებს. ავტოტრანსპორტთან

დაკავშირებით აღნიშნა, რომ გახდეს უფასო, რადგან სწრაფად მიწოდების სერვისი უნდა იყოს მერიის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი.

საკრებულოს წევრი თენგიზ აფხაზავა მიესალმა უპრეცედენტოდ გაზრდილ ბიუჯეტს. სწრაფი ტემპით იზრდება მერიის შემოსავლები. კვლევების შედეგად არის სტატისტიკა, ანალიზი და პროგნოზი, რომელსაც დასაბუთებულად წარმოგვიდგენს მომხსენებელი. ასევე წამოაყენა წინადადება, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტი ავარიულ შენობაში მუშაობს და იქნებ გამოიძებნოს სარემონტო სახსრები შენობის რეაბილიტაციისთვის.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ განცხადებების ბლოკი მნიშვნელოვანია. ბიუჯეტის ზრდას მიესალმება, რადგან ზრდა არის უპრეცედენტო. ძირითადი ცვლილება არის ინფრასტრუქტურულ ნაწილში. მიულოცა ქალაქს FIABCI-ს ჯილდო, ოსკარი, რომელიც უძრავ ქონებაში განხორციელებულ პროექტების ნაწილში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს. მოსახლეობაზე დაპირებიდან გამომდინარე სექტემბრის თვიდან სამი ახალი საბავშვო ბაღი დაიწყებს მუშაობას. რაც შეეხება საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს გასცა პასუხები: განხორციელდა საკანონმდებლო პროცედურები, ამინისტიის შესახებ კანონი, რომელიც ხელმოწერილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ და საექსპორტო, კონსტრუქციული დასკვნების საფუძველზე უსაფრთხო გარემოში ჩატარებული იქნება ამინისტიის ყველა კომპონენტი. გენგეგმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გენგეგმის ნაწილში ჩვეულებრივი რიტმით მიმდინარეობს მისი აღსრულება. გენგეგმა იქნება ზედა დონის დოკუმენტი, კონსტიტუცია და არა მარტო ურბანული და არქიტექტურული თვალსაზრისით ჩვენი ქალაქისთვის, არამედ მომდევნო ათეული წლის განმავლობაში ჩვენი ქალაქის ეკონომიკური განვითარების მთავარი გასაღები.

ელექტროსკუტერებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ინტენსიურად ჰქონდათ განხილვები, ეს სფერო რეგულირებას საჭიროებს და ბუნებრივია ნებისმიერი სერვისის განმახორციელებელს მწვანე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ავითარებს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 29

არ ესწრებოდა: 4 (ვ. დარჩია, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -10 (ნ. დუმბაძე,

ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე,

თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია,

ი. ზოიძე, ნ.ნაცარაშვილი)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება ნახევარი საათი.

სხდომა განახლდა 14.30 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდნენ: ნ. ფუტკარაძე, ა. ვარშალომიძე, ი. ზოიძე,

რ. ხარაზი, მ. ქობულაძე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 183-ე პუნქტად შეტანილია ქალაქ ბათუმი, ვ. გამსახურდიას №37-ში არსებული 58.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.21.32.022). მერიის მიერ განხორციელდა №05.21.32.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კორექტირება (გაიზარდა შენობებს შორის შესასვლელი, რის გამოც შემცირდა საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის ფართობი), შესაბამისად შეტანილი უნდა იქნას ცვლილება ნუსხასა და გეგმაში ხსენებულ კოდზე (პუნქტი 183). ხოლო საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში და გეგმაში შეტანილი უნდა იქნას კორექტების

შედეგად №05.21.32.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 40,00 კვმ მიწის ნაკვეთი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს №008561121, 10.12.2021წ დასკვნის შესაბამისად, 58.00 კვმ მიწის ღირებულება განსაზღვრულია 129398,0 ლარად, ანუ 1 კვმ 2231,0 ლარად. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გამოყენებული იქნას აღნიშნული შეფასება და დაყოფის შედეგად №05.21.32.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 40.00 კვმ მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზებო ღირებულებად საბოლოოდ განსაზღვრული იქნას  $2231 \times 40 = 89240,0$  ლარი.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 29

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივლისის №4200/02 (N07-1423193148-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 ივნისის N14-1423180243 კორესპონდენცია, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 5 ივნისის N114-1142315642 კორესპონდენციასთან ერთად, 2023 წელს გამოშვებული ISUZU-ს მარკის, მოდელი-NOVOSITI LIFE-ის 2 (ორი) ერთეულ ავტობუსში გადაცვლის თაობაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტმა“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცა 6 (ექვსი) ერთეული ავტობუსი, რომლებიც უკვე რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი მის საკუთრებაში არსებული ქონება საკუთრებაში გადასცეს სხვა

მუნიციპალიტეტს. გამომდინარე აქედან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექვსი ერთეული ავტობუსი შემდგომში, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადასაცემად (შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-სათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით).

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა -7 (ნ. დუმბაძე,  
ბ. მექვაბიშვილი, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე,  
ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ნ. ნაცარაშვილი)

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №გ-15.15211513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №გ-15.15211513 განკარგულებით კომერციული ობიექტის საქმიანობის გაფართოვების და ხელშეწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, ნოდარ მახარაძეს (პ/ნ 61002014613) იჯარით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ (ტროტუარი) არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.24.07.156). მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური იმ პერიოდისათვის განისაზღვრა 1465

ლარის ოდენობით. (გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული #05.24.07.151 მიწის ნაკვეთის შეფასება - ფართი 38 კვმ; საბაზრო ღირებულება 28 500,0 ლრ.; 1 კვმ-ს - საბაზრო ღირებულება 750,0 ლრ.; (შპს აუდიტ ეკონომიქსი“ ბთმ-107, 09.11.20წ); 39,0 კვმ-ს საბაზრო ღირებულება - 29250,0 ლრ; წლიური საიჯარო ქირა - 1462,5 ლრ.) შემდგომში ნოდარ მახარაძესთან შესაბამისი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა აღნიშნული ქონების გადაფასება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ექსპერტიზის დასკვნის (№004380823; 26.06.2023წ.) თანახმად 05.24.07.156 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 39.00 კვმ მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 65238,0 ლარის ოდენობით. 1 კვ.მ.-ს საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 1672,7 ლარს; საიჯარო 1კვმ - 5%-83,6 ლარს; სიჯარო 39,0 კვმ-ს = 3261,9 ლარს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 39.00 კვმ მიწის ნაკვეთზე სარგებლობის საფასური განისაზღვროს 3265,0 ლარის ოდენობით. ვადა განისაზღვროს წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ასევე 5 წლის ვადით - 01 დეკემბერი 2028 წ.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -7 (ნ. დუმბაძე,  
ბ. მექვაბიშვილი, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე,  
ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ნ.ნაცარაშვილი)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმში, ადლიას ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.21.057) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის  
სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტია წარმოდგენილი.

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ადლიას ქ. N53-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კN N05.32.21.057 მრავალსართულიანი შენობის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

განმცხადებელი შპს „ჰომექსი“

მოთხოვნილი კ2=2,5;

საპროექტო ობიექტი - მრავალბინიანი;

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.32.21.057) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ<sup>1/2</sup> მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

## აზრი

### გამოთქვებს:

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მომხსენებელი ყოველთვის კვალიფიციურად წარმოადგენს დეტალურ გეგმას. მას აქვს შენიშვნა, რომ ასეთი პროექტები საკრებულოში უნდა შემოვიდეს განსახილველად 4-5 დღით ადრე, რადგან თითოეულმა დეპუტატმა უნდა გაეცნოს საკითხს დეტალურად.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა k<sup>2</sup> კოეფიციენტთან დაკავშირებით, რომ განსაკუთრებული გამონაკლისი უნდა იყოს და 10% ნამატი არ არის, მისი აზრით ის არგუმენტი, რაც უნდა იყოს. რაც შეეხება ნამატს, ბინები რჩება მერიას. 9 წლის განმავლობაში ქალაქ ბათუმის მერიაში დადის შშმ პირი ომარ როდონაია, ფიზიკურად ვერ მოხერხდა ერთი პატარა ბინის დროებით გამოძებნა, რომელსაც არ ითხოვს საკუთრებაში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ომარ როდონაიას გარდა არის რიგი ოჯახები, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში არიან. საკრებულოს გადაწყვეტილებით მერიამ დაიწყო უსახლკაროთა ოჯახების სიის შედგენა, მომავლისთვის პროგრამის შედგენის მიზნით. უსახლკაროთათვის სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვანია, რადგან სამომავლოდ ასეთ ოჯახებს დახმარება გაეწიოთ.



**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 4 (ნ. დუმბაძე,  
ბ. მექვაბიშვილი, ვ. დარჩია, ა. გვიანძიძე)

არ მიიღო მონაწილეობა -5

(თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე,  
ე. ზარია, ნ.ნაცარაშვილი)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის – ლაშა კილაბერიას ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის  
თავმჯდომარე - დავით მახარაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლაშა კილაბერიას მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად საკრებულოს სხდომებსა და კომისიის სხდომებში მონაწილეობის არმიღება, კერძოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ექვსი სრული თვის განმავლობაში, რაც თავისთავად იწვევს საკრებულოს მიერ მასზე უფლებამოსილების შეწყვეტას.

აქვე გაცნობებთ რომ, საკრებულოს წევრი ლაშა კილაბერია იმყოფება საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიისა და საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის შემადგენლობაში, ვინაიდან მას ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მას ზემოთ აღნიშნული კომისიის წევრის უფლებამოსილებაც უწყდება მიმდინარე წლის 21 ივლისიდან.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26  
არ ესწრებოდა: 2 (ა. გვიანიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა -7 (ნ. დუმბაძე,  
ბ. მექვაბიშვილი, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე,  
ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ნ.ნაცარაშვილი)

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 7. „ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. N5<sup>ა</sup> -ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თეიმურაზ (ტუხა) ტულუშის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ბათუმის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, თემურ ტულუში (ტუხა) წლების მანძილზე გუნდის გამორჩეული წევრი იყო. როგორც მოთამაშემ და ასევე საფეხბურთო აკადემიის მწვრთნელმა, დინამო ბათუმის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. ბათუმელ გულშემატკივარს მის მიერ გატანილი არაერთი ლამაზი გოლი უნახავს. გუნდის რიგებში ჩატარებულ 304 შეხვედრაში 71 გოლი გაიტანა და ევროთასებზე პირველი ქართული ჰეთთრიკის ავტორიცაა, მოგვიანებით ეროვნული ნაკრების მაისურიც მოირგო. გარდაიცვალა 49 წლის ასაკში.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. N5<sup>ა</sup> -ში მდებარე სახლზე განთავსდეს თეიმურაზ (ტუხა) ტულუშის მემორიალური დაფა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28  
წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე